

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 3 4 8

ქ. ბათუმი, 18 მაისი 2015 წ

ახალი/დამატებითი შენატანების გზით შპს „ბათუმის წყალი“-ს კაპიტალის გაზრდის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ბ.“ „დ.გ.“ „დ.დ.“ ქვეპუნქტების, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9¹ მუხლის მე-6 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის და „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვასთან და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების კაპიტალში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 აპრილის №25 განკარგულების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ახალი/დამატებითი შენატანებით, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული სასმელი წყლის ჩაქვი-ბათუმის 194 543,55 მეტრი, 28847465,43 ლარის საბალანსო ღირებულების ქსელით (ს/კ №05.00.679), სარფიგონიოს 49 792,00 მეტრი, 11436442,81 ლარის საბალანსო ღირებულების საკანალიზაციო ქსელით (ს/კ №05.00.680) და ძველი ბათუმის რეაბილიტირებული, 29530,88 მეტრი, 32112449,94 ლარის საბალანსო ღირებულების საკანალიზაციო ქსელით (ს/კ №05.00.719), სულ 72396358,18 ლარის ღირებულების ქონებით გაიზარდოს შპს „ბათუმის წყალი“-ს კაპიტალი.

2. დაევალოს შპს „ბათუმის წყალი“-ს გენერალურ დირექტორს (ალექსანდრე მიქელაძე) წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურში შპს „ბათუმის წყალი“-ს სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრაცია.

3. დაევალოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-ეკონომიკურ სამსახურს (ე. ლომაძე) უზრუნველყოს საბუღალტრო დოკუმენტაციაში შესაბამისი ცვლილებების რეგისტრაცია.

4. წინამდებარე ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს (ზურაბ ბერიძე).

5. წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი ერმაკოვი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი